საქართველოს სოციალ-დემოკრატიული [illegible] პარტია

№ 226 ხუთშაბათი, 9 მაისი 1918 წ. № 226

სახალხო საქმე

32

მთავარი კომიტეტ ის ორგანო

ბათომში ჩამოვიდა ოსმალეთისა და გერმანიის საზავო დელეგაციები: გერმანიის საზავო დელეგაციას ფონ-ლოსოვი თავმჯდომარეობს.—ხმებია გერმანელებმა ტრაპიზონსა და ბათომში ჯარი გადმოსხესო.—საგანგებო კომისიამ დაიწყო მუშაობა კონსტიტუციის შესამუშავებლად.—აკაკი ჩხენკელმა მოწოდებით მიმართა აფხაზებსა და სამურზაყანოელებს.—გერმანელებმა სევასტოპოლი და ტაგანროგი აიღეს.—როსტოვი გერმანელთა და უკრაინელთა შეერთებულ ჯარს აუღია.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მან., 20×2 ღირს 15 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (კ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა“) ბარათოვის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე [illegible]-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი [illegible]ლები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

[illegible] წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ“, поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე“ ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის“ რედაქციას.

ნატალია ნიკოლოზის ასული ბარათაშვილისა, ივანე და მიხეილ ნიკოლოზის ძენი კვეზერელი-კოპაძენი ოჯახითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა (23 აპრილს) 6 მაისს მათი დაუვიწყარი რძალი

თამარ ლუკას ასული კვეზერელი კოპაძისა.

პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღეს საღამოს 6½ საათზე საკუთარ ბინაზე (კახეთის ქუჩა № 22) გამოსვენება კვირას (29 აპრილს) 12 მაისს, დილის 10 საათზე ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიაში. 460

კომანდირი და ოფიცრები დივიზიონის ობოზისა მე-2 ქართულ მსროლელთა დივიზიონისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაგიკულად მოკლულს მილიციის პრაპორჩიკის

გიორგი მიხეილის ძის სავანელის.

გამოსვენება მიხეილის სათავადმყოფოდან დღეს, 9 მაისს დილის 9 საათზე. დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. 462

ივანე (ვანო) სოლომონის ძე ჯაფარიძე და მისი შვილები: პავლე, დიმიტრი და შალვა ღრმად დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: პირველი—საყვარელი ქალიშვილისას და მეორენი—ძვირფასი დის

თინიკოს

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე—ელისაბედის ქუჩა, № 126. გამოსვენება ხუთშაბათს, 9 მაისს (26 აპრ.), დილის 9 ნახევარ საათზე. წირვა და დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 456

ნინო ივანეს ასული და გიგო ივანის ძე კერესელიძენი, შვილები ვახტანგი და არჩილი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფასი დის, მეორე—ცოლის დის და მესამე და მეოთხე—დეიდის

თინიკო ჯაფარიძის ასულისას.

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე—ელისაბედის ქ., № 126. გამოსვენება ხუთშაბათს, 9 მაისს (26 აპრილი), 9-ნახევარ ს. წირვა და დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 456

ლიდა ივანის ასული და კონსტანტინე დიმიტრის ძე მიქელაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას: პირველი—დაუვიწყარი დის და მეორე—ცოლის დის

თინიკო ჯაფარიძის ასულისას.

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე—ელისაბედის ქ, № 126. გამოსვენება დღეს, ხუთშაბათს, 9 მაისს (26 აპრილი), დილის 9 ნახევარ საათზე. წირვა და პანაშვიდი წმ. ნინოს სასაფლაოზე. 456

ღრმად დამწუხრებული ქვრივი ოლღა ალექსანდრეს ასული შვილებით, გრიგოლ, შალვა და ვლადიმერ მიხეილის ძენი სავანელები, ნატო აბაშიძისა და ანეტა სავანელი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ და მეგობართ ტრაგიკულად მოკლულის

გიორგი მიხეილის ძის სავანელის

დასაფლავება მოხდება 9 მაისს, დილის 9 საათზე, გამოსვენება—მიხეილის სათავადმყოფოდან კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 458

ღრმად დამწუხრებული მშობლები—მღვდელი სილიბისტრო და სერმილო, ძმები: მღვდელი ეპიფანე, არონ, ავთონ და ანტონ, ძმისშვილები: გიორგი, შალვა და ნოე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მიცვალებულის ამხანაგებს, რომ ჯავშნოსან მატარებელზე (№ 4), ტრაგიკულად დაღუპული ძვირფასი

პეტრე ჩხაიძის

სულის მოსახსენებლად ორმოცი წირვა და პანაშვიდი დანიშნულია 11 მაისს, შაბათს, ბაცანის (გურია) თქრის ეკლესიაში. 455

გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე პეტრე ივანესძე ტაბლიაშვილი, მშობლები: ზაქრო პეტრესძე და დარია მიქაძე, ძმა და დები: ვანო, ელენე და მარო და ბიძები: საშა, აბრამი და ვასო პეტრესძენი მიქაძეები უდროოდ გარდაცვალებას მარად დაუვიწყარ და საყვარელ

მაგდალინას.

დაკრძალვა მოხდება ს. მუხრანში დღეს, 9 მაისს (26 აპრ.) 454

„სახალხო საქმის“ კანტორა იუწყება თავის თანამშრომლის

ელენე გიორგის ასულის ბაქრაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე—არაგვის ქ., № 5. დაკრძალვა ათ მაისს. 1156

გულდათუთქული მშობლები ეკატერინე გიორგის ასული და გიორგი ლუკას ძე ბაქრაძე და შვილები: ლუკა, თამარ, პეტრე, მარო, ფუფუ და რუსუდან აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უდროოდ გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი შვილი და და

ელენე გიორგის ასული ბაქრაძე

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 7 საათზე, გამოსვენება პარასკევს, 10 მაისს, საკუთარ სახლიდან (არაგვის ქუჩა, № 5) 1156

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: მღვდელი სოკრატ და ეკატერინე, ძმები: დავით, ანდრია და გრიგოლ და ქმარი ხარიტონ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველნი საყვარელი შვილის, მეორენი დაუვიწყარი დის და მესამე ძვირფასი მეუღლის

ელენე სულიაშვილი-ოგანეზოვის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. სუღნაღში, პარასკევს, 10 მაისს, ფერისცვალების ეკლესიაში. 153

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ბაღი, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს, 9 მაისს გამართება

საალდგომო წარმოდგენა

მთელი დასის მონაწილეობით. მონაწილეობენ ქალი—შიმშ ძველი კლერმონტი, იაპონელთა და [illegible] იამოდასონით სათავეში, დი-ლა-კაზი, ელიზაროვი, რობაში, ვინჩენკო ბინ-ბონ, ბოდი და სხვ. დილით 1 ს. საღ. 8 საათზე. 461

საალდგომოდ გამოვა ჟურნალ

„პრომეთეს“

მე-3 ნომერი, შემდეგი შინაარსით:

1. აკაკი პაპავა—„სოლეილდორი“, 2. ი. გრიშაშვილი—ლია! 3. კონსტ. გამსახურდია—ორი სონეტი (1. გრაფ ცეპელინს, 2. ემილ ვერჰარენს), 4. გ. ბარნოვი—ეზერის მწვანება, 5. ნ. ახვლედიანი—დასაბამი ნივთთა (რიტმულით), 6. კ. მაჭავარიანი—ნარზანის საშვილოში, 7. ს. წერეთელი—თალიკო, 8. ეკვთიმე თაყაიშვილი—ოყურეშის ეკლესია და მისი ძველი ნივთები, 9. დ. უზნაძე—ორგანული მსოფლმხედველობა, 10. ვარლამ ჩერქეზიშვილი—საქართველოს 3. ლიცეი ჰააგის კონფერენციისთვის 1907 წ.

ჟურნალი ღირს 4 მანეთი ხელზე მიყიდულების თვის. ჟურნალის ყიდვა შეიძლება ტფილისში და პროვინციაში „განათლების საგამომცემლობაში“ ისიდორე [illegible] ხარ. პრომეთეს და სახალხო საქმის კანტორაში.

1090 სარედაქციო კოლეგია.

განცხადება

სასანოვაგო კომისია მთავარ გზების კომიტეტის ამიერკავკასიის რკინის გზისა, იწვევს მსურველ ვაჭრებს, რომელთაც შეუძლიათ იკისრონ ჩაბარება საჭირო სანოვაგისა.

სანოვაგე უნდა ჩაბარდეს რომელსამე სადგურზე ამიერკავკასიის რკინის გზაზე.

ნახვა მოსალაპარაკებლად შეიძლება დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 საათამდე.

მისამართი: ტფილისის სადგური ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტი ამიერკავკასიის რკინის გზისა. 1150

ტფილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა დროებითი საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი

კვირას 12 მაისს (ახალი სტილით) დილის 10 საათზე ქართული კლუბის დარბაზში იწვევს ტფილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კრებას, ყველა დარგიდან.

დღის წესრიგი:

1. მომენტის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი.
2. თუ რა ზომები იქნას მიღებული რომ ბ.ბ. ვაჭარ-მრეწველებმა გაწერილი ფული საქართველოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ დაუყონებლივ იქნას შემოტანილი.
3. შეკავშირება ქართველ ვაჭართა და მრეწველთა ერთ კავშირში, რომლის წესდებაც უკვე დამტკიცებულია.
4. არჩევა კავშირის გამგეობისა და სხვა პირთა.

რადგანაც ფრიად საყურადღებო საკითხებია გასარჩევი ბ.ბ. ვაჭარ-მრეწველნი ვალდებულნი არიან აუცილებლად დაესწრონ კრებას. 1155

ტფილისი, 9 მაისი 1918 წ.

პირველი საქმე.

ამიერკავკასიის კონ-ფედერატიულ სახელმწიფოს შესაქმნელად უპირველესად ყოვლისა საჭიროა ტერიტორიალური გადამიჯვნა და შემუშავება კონსტიტუციისა, უფრო კი გამორკვევა იმ უფლება-მოვალეობებისა რომელიც ექნება ერთის მხრით კონფედერაციის შემადგენელ ნაწილებს, მეორეს მხრით მათს საერთო ორგანოს. ჯერ-ჯერობით სამი დიდი ტერიტორიალური ერთეული ისახება ამიერკავკასიაში: საქართველო, სომხეთი და ადერბეიჯანი. გამიჯვნაც უპირველესად ყოვლისა ამ ერთეულებს შორის უნდა მოჰხდეს. საქართველო შედარებით კარგს პირობებში იმყოფება; იგი ტერიტორიალურად მთლიანია და სადავო ადგილებიც ან სულ არა აქვს ან ძალიან მცირე. ასე რომ საქართველოს ტერიტორიალური ერთეულის ჩამოყალიბება არც ისე ძალიან გაჭირდება. გაცილებით უფრო ცუდს პირობებში იმყოფებიან სომხეთი და ადერბეიჯანი. აქ მოსახლეობა ხშირად ისე ძალიან არის არეული, რომ ტერიტორიალური მთლიანობის დაცვა და მაშასადამე გამიჯვნაც ძნელდება.

მიუხედავად ამისა გამიჯვნა სომხებსა და თათრებს შორის აუცილებლად უნდა მოჰხდეს. ამას მოითხოვს არა მარტო ინტერესები თვითეულ ამ ერისა ცალ-ცალკე, არამედ ამიერკავკასიისაც. თუ გვინდა ჩვენში საბოლოო შინაგანი მშვიდობიანობა ჩამოვარდეს, თუ გვინდა ჩვენში ისეთი წესწყობილება განმტკიცდეს, როდესაც ალარაფერი შინაგანი ეროვნული შუღლი არ იქნება, სომხებსა და მაჰმადიანებს შორის აუცილებლად უნდა მოხდეს გამიჯვნა და მოხდეს ისე, რომ რამდენადაც კი შესაძლებელია ორივე მხარე დაკმაყოფილდეს. დათმობა ორივე მხარეს დასჭირდება. რამდენადაც მეტია მათში შეგნება ამ საკითხის მოწესრიგებისა, იმდენად მეტად დაუთმობენ ერთმანეთს და შესაძლებლად გაჰხდიან ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევთ სომხეთის ტერიტორიალური ერთეულის შექმნას. ამიერკავკასიაში აუცილებლად უნდა შეიქმნას ისეთი სომხური ტერიტორიალური ერთეული, რომ სომხის ერმა მართლაც მოახერხოს რაიმე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა, რომ სომხეთის ერთეული ფიქციად არ დარჩეს და სომხის ერიც იძულებული არ გაჰხდეს ეროვნული დანაკლისი აინაზღაუროს იმ გავლენის მოპოვებით, რომლის მოპოვების სურვილიც დაებადება მაშინ, თუ თვით სომხეთი ფიქცია გამოვიდა და არა ნამდვილი სახელმწიფო.

დღეს ეყრება საფუძველი იმ ერთეულებს, რომელთაც დიდხანს ექნებათ ძალა და მნიშვნელობა. დღეს ეყრება საფუძველი იმ ტერიტორიალურ ერთეულებს, რომელზედაც მალე სახელმწიფოებრივი საამშენებლო მუშაობა დაიწყება. ამიტომ დღესვე უნდა იყოს ნავარაუდევი ყველაფერი და ეს ტერიტორიალური ერთეულები იმნაირად გამოიჭრას, რომ ყველანი დაკმაყოფილებულნი დარჩნენ, რათქმა უნდა, რამდენადაც ეს შესაძლებელია დღევანდელს პირობებში.

მეორე უდიდესი საქმეა კომპეტენცია თვითეული ერთეულისა. რაკი ამიერ-კავკასია შენდება კონფედერაციის ტიპის მიხედვით, ეს იმის მომასწავებელია, რომ ამიერკავკასიის შემადგენელ ნაწილებს უნდა მიენიჭოს მაქსიმუმი უფლებებისა. არ შეიძლება არსებობდეს ისეთი დიდი, მთლიანი ერთეულები, რანაირიცაა საქართველო, სომხეთი, ადერბეიჯანი და ამ ერთეულებს მიენიჭოს შეზღუდული უფლებები. მუშაობის დაწყების მეორე დღესვე კვლავ ნათელი გაჰხდება ყველასთვის, რომ საკანონმდებლო, შემოქმედებითი მუშაობა შეფერხებული იქნება და იმ შედეგს ვერ მიაღწევს, რანაირის იმედიც გვექნება. ამიტომ კონფედერაციის ნაწილებს უნდა გადაეცეს ყველა უფლება, გარდა იმისა, რაც მართლა საერთოა ამიერკავკასიისთვის, რაც თავისთავადაც კი ჰგულისხმობს საერთო მმართველობასა და გამგებლობას.

ჩვენ ჯერ-ჯერობით არ შევუდგებით კონსტიტუციის საფუძვლების აღნუსხვას. მაგრამ მაინც უნდა გამოითქვას საზოგადო მოსაზრება კონსტიტუციის ამ მხარის შესახებ. ჩვენ გვგონია, რომ საუკეთესო ფორმა ამიერკავკასიის საერთო საქმეების მართვა-გამგეობისა იქნება ფორმა დელეგაციისა.

დელეგაციის საშუალებით საერთო ხელმძღვანელი გაუჩნდება იმ ჩვენს საქმეებს, რომელიც მართლაც აერთებს, აკავშირებს ამიერკავკასიას. მაშინ ამიერკავკასიის კავშირი ძლიერი იქნება არა მარტო საკონსტიტუციო გარანტიით, არამედ რეალური ძალთა განწყობილებითაც. ამას კი სახელმწიფოს სიმტკიცისა და მთლიანობისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

რა თქმა უნდა ტერიტორიალური გადამიჯვნისა და კონსტიტუციის შემუშავებით არ განისაზღვრება ის მუშაობა, რომელიც მთავრობამ უნდა გასწიოს ეხლავე. მაგრამ გადამიჯვნა და კონსტიტუცია მაინც ის უდიდესი საქმეა, რომელიც უპირველესად ყოვლისა უნდა გაკეთდეს. თუ დაბრკოლებანი, რომლებიც შეიძლება გადაგვეღობოს ამ საკითხების გადაწყვეტის დროს, ვსძლიეთ და გადავლახეთ, მაშინ მტკიცე საფუძველი ჩაეყრება ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივ მექანიზმს და მისი დარღვევა აღარც ისე ადვილი იქნება.

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და ერის სულიერი განწყობილება.

პრაქტიკული ნაბიჯები ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გარდაქმნისა უკვე გადადგა ჩვენმა მთავრობამ: შესაფერი ცნობა მიაწოდინა ყველა სახელმწიფოების მთავრობებს ამის შესახებ; გარეგნულ სახესაც თანდათან იცვლის, ასე რომ ნელის ნაბიჯით ვებმებით საკაცობრიო ფერხულში და გამოვდივართ დამოუკიდებლად, თავისუფალი და სუვერენული უფლებებით აღჭურვილი. მოკლე ხანში უნდა ველოდეთ ჩვენი დამოუკიდებლობის დადასტურებას სხვა სახელმწიფოებიდან.

ეს ყველაფერი თეორეტიული აღიარება და დადასტურება იქნება ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა.

მაგრამ თავისუფალი არსებობა, დამოუკიდებელი სახელმწიფოდ აღიარება ჩვენი ქვეყნისა, ამ დამოუკიდებლობის შენარჩუნება და განმტკიცება არც ისე ადვილი საქმეა.

ჩვენს ნორჩს სახელმწიფოს ძალიან ბევრი მტერი ჰყავს, როგორც შინაური, ისე გარეშე,—ბევრს არ აძლევს მოსვენებას ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება.

გაზეთ „ზნამია ტრუდას“ და „ნაროდნაია სვობოდაში“ მოკალათებულ ცრუ სოციალისტებისა და დემოკრატების მოქმედება, რომელიც პროვოკაციით იწყება და პროვოკაციითვე თავდება დაშნაკელების ორპირული მოღვაწეობა—უტყუარი ნიმუშია შინაური უთანხმოებისა. უფრო დამაფიქრებელი და საგრძნობელი საფრთხე მოგველის გარეშე მტრებისაგან: ერთის მხრით—ოსმალეთის იმპერიალისტების ზრახვანი და წადილი ჩვენი ქვეყნის დაპყრობისა და მეორე მხრით ბოლშევიკების სურვილი ანარქიის ცეცხლში გახვევა ამიერკავკასიისა და ამას თუ კიდევ თან დაუძენთ იმ საშინელ კრიზისს, რომელიც თავს დაგვატყდა რუსეთში ანარქიის გამეფებით—მაშინ ნათელი იქნება თქვენთვის, თუ რა შავი დღეები გვიწერია წინ, თუ ეხლავ არ იქმნა მიღებული სწრაფი რადიკალური ზომები,—თუ დღესვე არ შევუდექით საქმის გამოსწორებას, ქვეყნის აღორძინებასა და განახლებას. ფინანსიური და სასურსათო კრიზისმა შეიძლება დაღუპვის გზამდე მიგვიყვანოს.

ამგვარია დღევანდელი პოლიტიკო-ეკონომიური ვითარება ჩვენი ახალი დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოსა.

მაგრამ ყველაზე უფრო დამაფიქრებელი და თან სახიფათოც არის მშრომელ გლეხობის—ერის სულიერი განწყობილება, მისი შეხედულება, მისი აზრი და შეგნება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის შესახებ.

ნურავინ იფიქრებს იმას, რომ მშრომელი გლეხობა ამიერკავკასიისა ისეთივე სიმწვავით განიცდის დღევანდელ პოლიტიკურ მომენტს, როგორც ხალხის წარმომადგენელნი—ინტელიგენცია,—ისეთივე აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გარდაქმნა, დამოუკიდებელი არსებობა, როგორც ამასა გრძნობს ჩვენში არსებული პოლიტიკური პარტიები და ქალაქის შეგნებული პროლეტარიატი.

ამიერკავკასიის ზოგიერთ მიყრუებულ სოფლებში და ხშირად მთელ მაზრაში—ხალხი ზედმიწევნით ჩამორჩენილია ცხოვრებას,—უკულტურობისა და გაუნათლებლობის მორევში ჩაფლული, რელიგიურ ფანატიზმითა და ნაციონალისტურ-შოვინისტური გრძნობებით სცხოვრობს და ხშირად ვერც კი არჩევს მტერს—მოყვარისაგან. თუ ჩვენთვის ცხადია, რომ ხალხის შეგნებას, შემეცნებას აქვს [illegible], თუ ჭეშმარიტებას შეიცავს ეს აზრი, მაშინ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მთელი ჩვენი გულისყური ხალხისკენ უნდა იქმნეს მიპყრობილი, ხალხს უნდა ჩავუნერგოთ გულში სიყვარული სამშობლოსი, ვამცნოთ, რომ მისი კეთილდღეობა, მისი ბედნიერება ჩვენი დემოკრატიულ სახელმწიფოს განმტკიცებაშია, რომ მხოლოდ დამოუკიდებელ, თავისუფალ დემოკრატიულ სახელმწიფოს, ფედერალიზმის პრინციპზე აშენებულს, შეუძლია მათი ინტერესების დაცვა, მათი ამაღლება და გაღონიერება ყოველმხრივ.

ერთგვარი შეგნების, შემეცნების რევოლიუცია უნდა მოხდეს ხალხის აზროვნებაში.

თუ ეს რევოლიუცია შემეცნებისა მოხდა ინტელიგენციაში და ქალაქის შეგნებულ პროლეტარიატში, თუ ჩვენ გავიარეთ ერთგვარი სულიერი განცდა, მით უფრო აუცილებელია ამგვარი სულიერი განცდა გაიაროს ხალხმაც—ერმა.

შეგნებული ელემენტი, თავისი მდგომარეობისა და გარემო პირობების ალღოს ამღები მასსა—უფრო გულმოდგინეთ, თავგამოდებით და წინდახედულად დაიცავს თავის ინტერესებს,—უფრო იგრძნობს თვისი ერის ჭირვარამს,—ქვეყნის სიკეთესა და უბედობას.

დღეს ისეთი რთული და დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტის წინაშე ვდგევართ, ისეთი სერიოზული პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა ამიერკავკასიის სეიმმა, რომ ყოვლად შეუძლებელია სათანადო ანგარიში არ გაუწიოთ მას და მთელი ჩვენი გამოცდილება, ცოდნა, ნიჭი, ძალა და გამჭრიახობა არ შევსწიროთ ჩვენი ქვეყნის გაღონიერებას, ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს შინაგან და საგარეო საქმეების მოწესრიგებას.

ეს კარგად უნდა ახსოვდეს ამიერიდან თავისუფალ და დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ყოველ მოქალაქეს,—მან უნდა შეიგნოს აუცილებლობა ჩვენი თავისუფლების, ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვისა. მარტო გამოცხადება დამოუკიდებლობისა კიდევ არ მოასწავებს სახელმწიფოს სიძლიერეს, მის სუვერენულ უფლებების შეუხებლობას,

ამისათვის საჭიროა ძალა, ძალა საგრძნობელი, რომელიც შინაურ და გარეშე მტრებს მედგრად გადაეღობება წინ,—ჯარი, რომელიც დაიცავს ჩვენს საზღვრებს,—მთავრობა ძლიერი და მტკიცე, რომელიც მოაწესრიგებს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებას,—გამონახავს საშუალებებს ჩვენი მომავალი არსებობის კეთილ-დღეობისათვის და მშრომელი ხალხის შეგნება დღევანდელი პოლიტიკური მომენტისა, რომ დამოუკიდებლობა—თავისუფლება აყვავებისა და აღორძინებისაკენ წაიწევს ჩვენს ჩამორჩენილ ქვეყანას.

მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება მიზნის განხორციელება, ამგვარი გზა უნდა აირჩიოს ჩვენმა ხალხმა—დემოკრატიამ—თუ სურს მას თავისუფალი, დამოუკიდებელი არსებობა..

კოკი აბაშიძე.

საზავო დელეგაცია

6 მაისს საღამოს საგანგებო მატარებლით ტფილისიდან ბათომს გაემგზავრა საზავო დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობა ასეთია. თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი, წევრნი: მამედ ჰასან გაჯინსკი, ნ. ნიკოლაძე, რ. ქაჯაზნუნი, ა. ხატისოვი, რასულ-ზადე, წარმომადგენლები, უწყებებისა და მრჩევლები, რომელთა შორისაც არიან გენერალი ოდიშელიძე, პოლკოვნიკი ყორგანოვი, პროფესორები ლამბაროვი და ზურაბ ავალიშვილი, ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენლები ჟურული და ქიქოძე. ოსმალეთის დელეგაციას ვეხიბ-ფაშას თავმჯდომარეობით მოელოდნენ ბათომში 6 მაისისთვის.

—

ბათომში ჩამოვიდა ოსმალეთისა და გერმანიის საზავო დელეგაციები. გერმანიის საზავო დელეგაციას თავმჯდომარეობს ფონ - ლოსოვი; დელეგაციაში წევრად შედის სხვათა შორის ტფილისში გერმანიის კონსულად მყოფი შულენბურგი.

—

ვეხიბ-ფაშასაგან ტრაპიზონიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა:

ამიერკავკასიის რესპუბლიკის მინისტრ თავმჯდომარეს და გარეშე საქმეთა მინისტრს ჩხენკელს და მის [illegible] დროებით სამხედრო მინისტრს გენერალ ოდიშელიძეს: 1918 წლის 29 აპრილის წერილის თანახმად მისი აღმატებულების საიმპერატორო არმიის ვიცე-გენერალისიმუსის ცნობისა მაქვს პატივი დაუმატო, რომ ის ტერიტორია, რომელიც ოტომანის ჯარმა დაიკავა ოზურგეთის რაიონში და რუსეთ-ოსმალეთის 1877—1878 წ.წ. საზღვრის იქეთა მხარეს მდებარეობს, დაცლილი იქნება და დაუბრუნდება ამიერკავკასიის მთავრობას მას შემდეგ, როდესაც ბათომის მოლაპარაკება კარგ შედეგებს გამოიღებს. დარწმუნებული იყავით ბ-ნო მინისტრებო ჩემი თქვენდამი პატივისცემაში.

კავკასიის ფრონტის მთავარ-სარდალი, გენერალ ლეიტენანტი.

ვეჰიბ მეჰმედ.

გერმანელების დესანტი და კავკასია

ამ ბოლო დროს ხმები გავრცელდა, გერმანელებმა ტრაპიზონში ჯარი მოიყვანესო. ხმები ჯერ არ შემოწმებულა და ამიტომ დანამდვილებით არაფერის თქმა არ შეიძლება. რუსულ გაზეთ „ედინენიე“-ში შემდეგი შეუმოწმებელი ცნობებია დაბეჭდილი.

ფიქრობენ, რომ ტრაპიზონში გერმანელებმა შეიყვანეს ერთი კორპუსი, რადგანაც ტრაპიზონს ოც-და-ათი გემი მოადგა. ეს ჯარი გერმანელებს სპარსეთის ფრონტისთვის უნდათ. ამასთანავე ერთად მოდის ხმები, რომ სტამბოლში გერმანელები აგროვებენ ორ კორპუსს, რომელთაც საგანგებო დანიშნულება ექნება; მათ გადაიყვანენ თურქესტანში. გერმანელებს მიზნად აქვთ ერთის მხრით თურქესტანის დაპყრობით ხელთ იგდონ ბამბის რაიონი და მეორეს მხრით კასპიის ზღვას მოუარონ კრასნოვოდსკისა, დაღესტანსა და სპარსეთის მხრით.

გერმანიის ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, იმავე გაზეთის გადმოცემით, გერმანული გაზეთი „ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ სწერს, უკრაინამ გერმანელებს უნდა მისცეს პური, დონეცის რაიონმა ქვა-ნახშირი, კავკასიამ ნავთი და შავი ქვა, თურქესტანმა, სპარსეთმა და მუღანმა კი—ბამბაო.

როგორც იგივე გაზეთი გადმოგვცემს, ზოგიერთ გერმანულ გაზეთში იბეჭდება წერილები იმის შესახებ, თუ როგორი უნდა მოეწყოს კავკასია. გაზეთები ამბობენ, კავკასიაში უნდა შეიქმნას მთელი რიგი რესპუბლიკებისა. არის ასეთი პროექტიც: საქართველოს რესპუბლიკა, რომლის დედა ქალაქი უნდა იყოს ტფილისი. სომხების რესპუბლიკა დედა ქალაქ ეჩმიაძინით, დაღესტნის რესპუბლიკა დედა ქალაქ ბაქოთი, ადერბეიჯანის რესპუბლიკა დედა ქალაქ თავრიზით. როგორც ამბობენ, დაღესტნელებს თანხმობა განუცხადებიათ ასეთს პროექტზე.

სპარსეთში კი ამ დადგენილებას დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია.

ოფიციალური დეპეშები

ტფილისი, 8 მაისი, „ანდონსანი“

2 მაისს, სადგურ ბაშ-ნორაშენის შორი-ახლოს მატარებელს დაეცნენ. მატარებელი ერევნიდან იყო გამოგზავნილი რომ ჯულფიდან მოსამსახურენი წამოეყვანა. მოკლულია 16 სომეხი, მათ შორის ნაფიცი ვექილი მუშეგიანი. დანარჩენ ფრონტზე მშვიდობიანობა არ დარღვეულა.

კავკასიის ფრონტზე მშვიდობიანობა არ დარღვეულა.

ინგლისელების აზრი დამოუკიდებლობის შესახებ

რუსულ გაზეთ „ედინენიეში“ დაბეჭდილია წერილი იმის შესახებ, თუ რა აზრისა არიან ტფილისში მყოფი ინგლისის წარმომადგენლები ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ. მათი აზრი რა თქმა უნდა, ინგლისის აზრი არ არის, არც ის ვიცით, რამდენად სწორედ არის გადმოცემული გაზეთის მიერ, მაგრამ ჩვენ მაინც მოგვყავს ეს წერილი ცნობად.

ინგლისის დიპლომატიური აზრი ამ საკითხის შესახებ ყველამ იცის—ეს არის თვალსაზრისი კოალიციისა, რომლის არც ერთს წევრს და მით უფრო სახელმწიფოს ნაწილებს არ შეუძლიანთ სეპარატიულად გამოვიდნენ.

ასეთია ოფიციალური მხარე საკითხისა.

პრაქტიკულად კი თუ შევხედავთ საქმეს და აღვიარებთ, რომ ჩვენ დამოუკიდებლობის გამოცხადების უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე ვსდგევართ, მაშინ საქმე უფრო რთულდება.

ხანამ გამორკვეული არ არის, რა საფუძველზე ჰკრავს ზავს ამიერკავკასია, ინგლისი, უეჭველია, დამოუკიდებლობის გამოცხადებას თავის საწინააღმდეგო მოვლენად არ ჩასთვლის. აქ ისეთივე მდგომარეობა შეიქმნება, რანაირიც რუსეთშია და ამიტომ შეიძლება ინგლისმა თავისი წარმომადგენლები ამიერკავკასიიდან არც კი გაიწვიოს. სულ სხვა საქმეა, თუ საზავო ხელშეკრულობა ვალდებულად გაჰხდის ამიერკავკასიას უფრო აქტიური დახმარება გაუწიოს გერმანულ ინტერესებს. მაშინ, რათქმა უნდა, დამოკიდებულობა შეიცვლება.

აკაკი ჩხენკელის მოწოდება

აკაკი ჩხენკელმა შემდეგი მოწოდებით მიმართა აფხაზეთისა და სამურზაყანოს მცხოვრებლებს:

„ისტორიულ მომენტში, როდესაც სწყდება ბედი ამიერკავკასიისა, რომელმაც თავისი თავი დამოუკიდებელ ფედერატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა: როდესაც მუშავდება სახელმწიფოებრივი და ტერიტორიალური საზღვრები, როდესაც ამიერკავკასიის მჭიდროდ დაკავშირებული ერნი მრავალ წელთათვის ჰქმნის ცხოვრების ახალ გზებს, მოგმართავთ აფხაზეთისა და სამურზაყანოს შვილთ როგორც თქვენი თანამემამულე და წარმომადგენელი თქვენი ინტერესებისა ჯერ ისევ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში.

დიდის მწუხარებით გავიგე, რანაირი დამღუპველი ანარქია ყოფილა თქვენში, რანაირი ექსცესები. გთხოვთ მიიღოთ ყოველნაირი ზომები ანარქიის თავიდან ასაცილებლად. მოიწვიეთ სახალხო ყრილობა და ტფილისში გამოგზავნეთ თქვენი წარმომადგენლები, რათა ჩვენთანა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიულებთან ერთად მიიღონ მონაწილეობა კონსტიტუციისა და სახელმწიფოებრივი საზღვრების შემუშავებაში. გამოგზავნეთ წარმომადგენლები, რათა კავკასიის ფედერაციის თანასწორ უფლებიანი წევრობის, აფხაზეთისა და სამურზაყანოს, მცხოვრებთა სურვილები სავსებით დაკმაყოფილდეს.“

ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე და გარეშე საქმეთა მინისტრი **აკაკი ჩხენკელი.**

რადიო-დეპეშები

„ანდოხანი“

ტფილისი, 3 მაისი. ოფიციალურად. სავალდებულო დადგენილება ნავთი ალაგობრივ ბაქოს რაიონში გაიყიდოს 1 მან. 65 კაპეიკად ვრცელდება არა მარტო იმ მომხმარებლებზე, სახელმწიფოს თავდაცვაზე რომ მუშაობენ, არამედ იმ მომხმარებლებზედაც, რომელნიც სახელმწიფოს საჭიროებათათვის შრომობენ.

ტფილისი, 3 მაისი. ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო კანონპროექტი ნაღდ თანხიდან განსაკუთრებულ 10 ათას მანეთიან ფონდის დაარსების შესახებ. ეს ფონდი იქნება ფინანსთა მინისტრის განკარგულებაში სხვა და სხვა სამინისტროების გამგებლობათა ორგანიზაციების საჭიროებისათვის.

ბერლინი, 2 მაისი. გერმანია-ავსტრო-უნგრეთის ცნობა.

დასავლეთი ფრონტი. ფრონტზე უკანასკნელ დღე-ღამეში არაფერი მომხდარა. არტილერიის ცეცხლი მეტად ძლიერია კემელ-ბერგის მიდამოებში. სომმასა და ლუსბახის შუა მონტანდიერის, ლასინის და ნუაიონის ახლო არა ერთხელ იყო გაცხარებული ცეცხლი. დღე-ღამის განმავლობაში უმთავრესად იყო ზვერვა.

ჰერცოგ ალბრეხტის არმია. ლორენის ფრონტზე ნასადილევს ფრანგების არტილერია მეტად გაცხოველდა პატარა იერიშები მტრისა ჩვენ ადვილად მოვიგერიეთ.

აღმოსავლეთის ფრონტი. უკრაინის რაიონი. სევასტოპოლთან ჩვენ ვძლიეთ მოწინააღმდეგეს. ქალაქი სევასტოპოლი უბრძოლველად ავიღეთ 1 მაისს.

ბერლინი. 3 მაისი. ბრძოლის ფრონტებზე საარტილერიო ცეცხლი ხან-და-ხან ძლიერი იყო. ძლიერი ცეცხლის მერე მტერი რამდენჯერმე შეეცადა აგრესიულ მოქმედებას ვილლერ-ბრეტონის სამხრეთით და ავრის დასავლეთ ნაპირზე. საერთოდ ქვეითა ჯარის მოქმედება დღე ღამის განმავლობაში ზვერვაში გამოიხატა.

აღმოსავლეთის ფრონტი. უკრაინის რაიონი. ეკატერინოსლავ ხარკოვის ხაზის მხრივ ჩვენ დონის ოლქში შევედით. აზოვის ზღვაზე ჩვენ დავიპყარით ზღვის პირის ქალაქი ტაგანროგი.

ვენა. 3 მაისი. გუშინ ბრძოლა მეტად გამწვავდა ოდიმარიენის და ადრიატის შუა.

ბერლინი. 3 მაისი. ფინლიანდიის სამხრეთ ნაწილში ტავასტგუსის რაიონში 5 დღის ბრძოლის შემდეგ მტერი სასტიკად დავამარცხეთ და 20 ათასი ტყვე წამოვიყვანეთ.

სტამბოლი. 2 მაისი. ბათომიდან მიღებულ სააგენტო ცნობების მიხედვით, ბოლშევიკების რიცხვით 10 ათას, განჯისკენ წამოწევის დროს, უკან დაახვედრა ორმა დაღესტნის პოლკმა. ამათ კიდევ ახალი ძალა შეემატათ და შეერთებულად დაამარცხეს ბოლშევიკები 8 ათასი ტყვედ წაიყვანეს. მათ მიეცათ წინადადება მთავრობას დამორჩილდნენ.

ტფილისი. 4 მაისი. ზღვის პირას ცვლილება არ მომხდარა. ახალციხის მიმართულებით 2 მაისს ოსმალოს მზვერავები სოფელ საკირესთან შეეცადნენ ჩვენი სადარაჯოები დაეპყრათ, მაგრამ ჩვენ მოვიგერიეთ, ერევნის მიმართულებით ქურთები თავს დაესხნენ ჩვენ როტას გუნდის სოფელში. (15 ვერსით არის დაშორებული იგდირს), მაგრამ ცეცხლით მოვიგერიეთ. კუჯახის და ზორის გადასავლები ჩვენ დავიჭირეთ სადემორკაციო ხაზის შესამუშავებლად რაზმის უფროსმა ბაიაზეთში გაგზავნა ერთი ოფიცერი სამი ჯარისკაცით, ოსმალოების მხრივაც აგრეთვე მოვიდნენ ერთი ოფიცერი და სამი ასკერი. სადგურ დავალუს აღმოსავლეთით ქურთ-თათრები თავს დაესხნენ სოფლებს: ზინჯირლუს, ყარალაჩს და გორთუნს წაასხეს 800 თავი ცხვარი. დასაბრუნებლად გაგზავნილია რაზმი.

ტფილისი. 6 მაისი. ბიულეტენი ანდონსანისა. სტამბოლიდან.

პალესტინის ფრონტი. ინგლისელების იერიშები მდინ. შერიას ნაპირზე მოტანილი მოვიგერიეთ. ინგლისელები ძლიან ემზადებიან, რათა შერიას აღმოსავლეთით მდებარე გზითა კვანძი ხელთ ჩაიგდონ. ამ მიზნით დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი. 30 აპრილს დილით ინგლისის ჯარმა, სიმაღლეები რომ ეჭირა, გადალახა მდინ. შერია არაგსა და ადელტთან. მონაწილეობდნენ არტილერია, ცხენოსანი ჯარი და ტყვიის მფრქვეველნი ამათ იერიში მოიტანეს მდინარის გაყოლებაზე ერთ ზურგით [illegible] ცდილობდნენ, მაგრამ ჩვენი (ოსმალეთის) ჯარები გერმანელებთან ერთად მოწინააღმდეგეს განზრახვა თავიდან ავიცდინეთ. პოლკოვნიკი ალი-ფუად-ბეი დიდ წინააღმდეგობას უწევდა 8 დღის განმავლობაში. პოლკოვნიკებმა ბომბა-ბეიმ და ფუად ბეიმ ინგლისის კავალერია დაარბიეს. დაჭრილი პოლკოვნიკი ბომბა-ბეი წრიდან არ გამოსულა და ხელთ ჩაიგდო მოწინააღმდეგის დივიზიის იარაღი. ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს მოწინააღმდეგის მიდამოებში ამ ბრძოლებში, რადგან კარგი გზები იყო, ყველა ჩვენი განკარგულება ბრწყინვალედ სრულდებოდა და სათადარიგო ჯარი ფრონტისკენ სწრაფად მიიმართებოდა. ინგლისელებმა უწესრიგოდ დაიხიეს მდ. შერიასკენ და დიდად დაზარალდნენ ხალხით და ცხენებით. მტერს ვსდევდით ძლიერი საარტილერიო ცეცხლით მდინარის დასავლეთ მხარემდე. მტრის ერთი ჰაეროპლანი ჩვენ ჩამოვაგდეთ.

კავკასიის ფრონტი. ცვლილება არ მომხდარა.

ბერლინი, 5 მაისი. (მიღებულია გერმანულ ენაზე ნაუენის სადგურისგან)

დასავლეთის ფრონტი, ფრანგის დივიზიებმა იერიში მოიტანეს კემელთან და ბოიელთან, მაგრამ იგი ჩვენ მოვიგერიეთ და საგრძნობლად დავაზარალეთ. ხელთ ვიგდეთ 300 ტყვე. ინგლისელების განზრახული იერიში ბოიელის დასავლეთით ჩვენ თავშივე შევნიშნეთ და მოვსპეთ. ხებუტერნის (?) სამხრეთით ინგლისელების იერიში უნაყოფო იყო. ორივე ფრონტზე მდ. სომას ორივ ნაპირას იყო საარტილერიო ცეცხლი, რომელიც განსაკუთრებით ძლიერი იყო ვილლერ-ბრეტონთან და აგრის დასავლეთ ნაპირას.

ვენა 5 მაისი. იტალიის ფრონტი. საარტილერიო ბრძოლა სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე ძლიერდება პიავეს ქვეითა ნაწილში იტალიის მზვერავებმა ვერა გაარიგეს რა.

პარიზი. 5 მაისი. ოფიციალური ცნობა. (მიღებულია ფრანგულ ენაზე ეიფელის კოშკის რადიოსადგურიდან,) ლაკრეს ჩრდილოეთით და სამხრეთით გაცხოველებული იყო არტილერიის მოქმედება უქვეითაჯაროდ. დანარჩენ ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა. 3 და 4 მაისს გერმანიის ჰაეროპლანს ვეკვეთნეთ, ორი ჩამოვაგდეთ, დანარჩენებმა მოახერხეს თავიანთ ადგილას დაბრუნება.

მოსკოვი. 5 მაისი. რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში შემდეგი განცხადება შემოვიდა უკრაინის საბჭოთა მთავრობისა და დონეცის მუშათა რესპუბლიკისა:

„თანახმად უკრაინის საბჭოთა მთავრობის და დონეცის რესპუბლიკის ნებისა, მე ორი თვის განმავლობაში შეძლებისდაგვარად ვხელმძღვანელობდი საბჭოების, უკრაინის და დონის ჯართა ბრძოლას გერმანელ—ჰაიდამაკების წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობამ უკრაინის საზღვარს იქით დაიხია როგორც ეს მესამე უნივერსალშია განსაზღვრული, და ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულების თანახმად რუსეთის რესპუბლიკის საბჭოთა მთავრობამ იარაღი აჰყარა. ამის გამო თქვენთან თანხმობით ვაცხადებ, რომ საომარ მოქმედებას ვსწყვეტ და თავს ვანებებ სამხრეთის რესპუბლიკების მთავარსარდლობას. გამოვთქვამ ჩემს შეურყეველ რწმენას მუშათა კლასის და სოციალური რევოლიუციის გამარჯვებისას.

ყოფილი მთავარ-სარდალი
ოვსიენკო ანტონოვი.

1918 წ. 4 მაისი

ახალი ამბავი

◆ **გერმანელების დესანტი ბათომში.** ხმებია, ბათომში გერმანელებს დესანტი გადმოუსხავთო.

◆ **როსტოვის აღება.** ქ. როსტოვი გერმანელთა და უკრაინელთა შეერთებულ ჯარს აუღია. ბოლშევიკებს წინააღმდეგობა გაუწევიათ და ქალაქიდან გასვლის დროს ცეცხლი წაუკიდებიათ მისთვის. ამბობენ, გერმანელები როსტოვის აღების შემდეგ ჩრდილო კავკასიაზე გამოილაშქრებენო.

◆ **ანარქია კავკავში.** კავკავში ანარქია გაჩაღდა. ბოლშევიკების წინააღმდეგ ინგუშებმა და ოსებმა ბლოკი შეჰკრეს.

◆ **თავის მოკვლა.** 7 მაისს თავის ბინაზე, არაგვის ქუჩა, № 5, თავი მოიკლა 16 წლის ქალმა ელენე ბაქრაძემ. მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **თავდასხმა სპარსეთში.** სპარსეთში ქ. ქ. ხოის და ხაიდავარს ქურთები თავს დაესხნენ სიმხოს მეთაურობით. აიკლეს სომეხთა 300 ოჯახი. ყველას ყელები გამოსჭრეს.

◆ **მკვლელობა.** აღდგომის პირველ დღეს ქალაქში 40 მდე მკვლელობა მოხდა. ბევრია აგრეთვე დაჭრილი და დასახიჩრებული.

◆ **ძარცვა-გლეჯა კავკავის გზაზე** კავკავიდან იტყობინებიან, საქართველოს სამხედრო გზაზე ძარცვა-გლეჯა გახშირებულიაო.

◆ **მკვლელობა.** მაისის 5 თებერვლის 19 ის ქუჩაზე წითელ-გვარდიელმა გიორგი ბეროშვილმა ბერდანის თოფით მოჰკლა სასტუმროს პატრონი კაბრ. მატანიანცი. იქვე მოჰკლა შემთხვევით ქუჩაში მიმავალი აკოფ აბრამოვი.

ქართულ სარევოლიუციო ჰიმნ-საგალობელთა კონცერტი. ამ დღეებში სახელმწიფო თეატრში გაიმართება კ. ფოცხვერაშვილის მეთაურობით და მონაწილეობით ქართულ ჰიმნ-საგალობელთა კონცერტი. შესრულებული იქნება პირველად ქართული ეროვნული ჰიმნი, „ლაშქრული“ და სარევოლიუციო მარში. გუნდში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ყველა კერძო მომღერალმაც, რაისთვისაც მსურველნი წინდაწინ უნდა ჩაეწერონ ჩვენ რედაქციაში.

◆ **სამხედრო ნაწილების დათვალიერება.** სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ დივიზიის უფროსის, პოლკოვნიკ კარგარეთელის თანხლებით ინახულა ზოგიერთი სამხედრო ნაწილი, რომელიც ტფილისში იმყოფება და გაეცნო როგორც ნაწილების შემადგენლობას, ისე მათ საჭიროებას. (ანდონსანი).

◆ **ახალციხის ფრონტის დათვალიერება.** 6 მაისს სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ და ქართული კორპუსის კომანდირმა გენერალ გაბაშვილმა

ახალციხის ფრონტი მოიარეს. ჯარის კაცები მხნედ არიან. ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზე ჯარის კაცი მოვიდა, რომელმაც ქართული ნაწილის უფროსის წერილი მოიტანა ახალციხიდან. მინისტრმა წმ. გიორგის ჯვრით დააჯილდოვა მამაცი ჯარის კაცი.

◆ **საქართველოს ეროვნულ საბჭოს** კრება შესდგება დღეს, ხუთშაბათს, 9 მაისს, ნაშუადღევის 12 საათზედ. განსახილველი საგნები: 1. საქართველოს კონსტიტუციის შედგენის საკითხი და 2. მიმდინარე საკითხები. კანდიდატების დასწრება საჭიროა.

◆ **ეროვნებათა შეტაკება ბორჩალოში.** ბორჩალოს მაზრაში ეროვნებათა შორის შეტაკებები ხდება. მთავრობამ დაადგინა იქ სამშვიდობო დელეგაცია გაგზავნოს. ბორჩალოს მაზრის კომისარი ტფილისში დაიბარეს.

◆ **ნახიჩევანში ჯავშნოსანი მატარებელი იგზავნება.** სამშვიდობო დელეგაციას სპარსელი ქურთები დასცემიან.

◆ **მოძრაობა სპარსეთში.** სპარსეთის მთავრობამ თეირანიდან თავრიზში ბახტიართა რაზმი გაუგზავნია სეპარატიულ მოძრაობის ჩასაქრობად.

◆ ქართველ ქალთა სანიტარული რაზმის კომისია აცხადებს, რომ მელიქიშვილის სამკურნალოში ლექციების კითხვა განახლდა სამშაბათიდან მაისის 7 დღიდან (ახ. სტ.) და ხუთშაბათისთვის 9 მაის საღამოს 5 ს. დანიშნულია საზოგადო კრება; განსახილველია შემდეგი საკითხები: გამოცხადების დრო, პირობები და სხვები. გაბაევის შესახვევი № 5 ქალთა ამხანაგობის სკოლაში.

◆ 5 მაისს პასკევიჩის ქუჩაზე 1 კომისარიატის მილიციელმა ილ. ალდგომელაშვილმა რევოლვერით დასჭრა შოფერი ლიტანოვი, რომელიც მე-3 კომისარიატის ბინაში შევარდა. ალდგომელაშვილი მას უკან დაედევნა და შიგ კომისარიატში მოჰკლა რევოლვერით. ალდგომელაშვილი გვარდიელებმა და მილიციონერებმა დამცველ შტაბში წაიყვანეს, მაგრამ გზაში მოჰკლეს.

◆ ორშაბათს, 13 მაისს (30 აპრ.), ქართულ კლუბში დამსახურებულ მსახ. ვ. გამყრელიძის და შ. დადიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა „ორი გმირი“ (გურულების ცხოვრებიდან) უმთავრეს როლებს შეასრულებენ საუკეთესო ძალები.

◆ **ომიანობისგან დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ.** თბილელ მიტროპოლიტ ლეონიდეს 3 მაისს გურიიდან დეპეშით აცნობეს, რომ მტრის მიერ დაპყრობილ ადგილებიდან გადმოხვეწილნი დიდს გასაჭირს განიცდიან და საჭიროა ქონებრივი დახმარება. მიტროპოლიტმა იმავე დღესვე მოიწვია თბილელ სამღვდელოების საგანგებო კრება, რომელმაც გადასდო ამ საქმისათვის საკუთარ თანხიდან 1300 მანეთი და დაადგინა 5—12 მაისის განმავლობაში ეკლესიებში მოაგროვოს შემოწირულებანი გურულების სასარგებლოდ.

◆ **დამცველ შტაბმა დააპატიმრა.** ქართულ I ცხენოსანთა პოლკის ჯარისკაცები ნ. ცინცაძე, ვ. ბებულაძე და ნ. ყიფიანი; ეს პირები დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა ღამე, სჩხრეკდნენ გამვლელებს და სძარცვავდნენ, ნესტორ კასუევი, გრ. ვასილიევი, რომელნიც ბრბოს მოუწოდებდნენ თვით-გასამართლებისაკენ; მოქ. არშაკ ზალევი აფიცერზე იარაღით თავდასხმისათვის; აფიცერი ვას. ლიაპინი პროვოკაციისათვის; მე-2 ჰუსართა პოლკის კორნეტები ვ. მხეიძე, გ. ფურცელაძე და მონ. აბულაძე, რომლებმაც სეიმის წევრს ერაძეს ცემა დაუპირეს და აღმასრულებელ კომიტეტში თავხედურად იქცეოდნენ; ჯარისკაცები კაროვინი, კუჩირენკო, სტარჩაკი, რომელთაც იარაღი და სპარსული ფული აღმოუჩინეს; ჯარისკაცები ლებედინსკი და გულიაევი, რომელთაც მძარცველთა ბრბოს წევრებთან ყოფნა ბრალდებათ. სად. ნავთლუღის კომ. კაპ. ალექსანდროვს სახაზინო ქონების გაყიდვისათვის.

◆ **ახალი წიგნი.** უკვე დაიბეჭდა პროფესორ გ. ახვლედიანის ლექციები „ენათ მეცნიერების შესავალი“. ჯერ მხოლოდ 2 თაბახი გამოვიდა და პირველ ხუთ ლექციას შეიცავს. ლექციები ხელნაწერის უფლებით გამოვიდა და 2 მ. ღირს.

◆ **დაწესებულებათა გაუქმება.** ამიერკავკასიის სეიმმა, თანახმად აგრარულ კომისიის შუამდგომლობისა დაადგინა: პირველ მაისიდან გააუქმოს მიწად-მოქმედების სამინისტროს ზოგიერთი დაწესებულებანი, რომელნიც ფაქტიურად უკვე კარგა ხანია აღარ მოქმედებენ და რომელნიც ძველი რეჟიმის დროს რუსეთიდან გადმოსახლებულთა ინტერესებს ემსახურებოდნენ.

◆ **დაინიშნენ** ბაქოს საოლქო სასამართლოს პროკურორად იმავე სასამართლოს გამომძიებელი კრასნოკუცკი, ხოლო განჯის სასამართლოს პროკურორად განჯის საგუბერნიო კომისარიატის და ალ. კომიტეტის გამგე ჩხატარაშვილი.

◆ **სეიმმა,** მიიღო რა მხედველობაში, რომ სამინისტროებმა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას სეიმისას ჯერ კიდევ არ წარუდგინეს გამომუშავებული და დასრულებული ბიუჯეტები, მიმდინარე და სასწრაფო ხარჯების დასაფარად გადასდო 10 მილიონი მანეთი.

◆ **15 მილიონი ლტოლვილებს.** მზრუნველობის სამინისტროს შუამდგომლობის თანახმად სეიმმა დაადგინა მიეცეს სამინისტროს 15 მილიონი მანეთი დასაკმაყოფილებლად იმ ლტოლვილებისა, რომელნიც თავიანთ სახლკარიდან აიყარნენ საომო მოქმედებისა თუ შინაურ ანარქიის გამო ამიერკავკასიის სხვა და სხვა კუთხიდან.

◆ **წესიერი მიმოსვლის აღდგენა.** ფინანსთა მინისტრის თხოვნით შინაგან საქმეთა მინისტრი ზომებს მიიღებს, რომ აღდგენილ იქნეს წესიერი მიმოსვლა და კავშირი შუშასთან, ნუხასთან, შემახასთან და სხვა, რადგან ფულის ნიშნების ნაკლებობის გამო, იქ ანარქია ძლიერდება.

◆ **სესხი ქალ. თვითმართველობებს.** ქალაქის თვითმართველობანი შუამდგომლობენ, რომ უსარგებლოდ მიეცეს სესხი სასურსათო საჭიროებათათვის. გორი ითხოვს 250,000 მანეთს, ლაგოდეხი—60,000 მ. სამტრედია—200,000 მ განჯა—500,000 მ. გუმბრი—1 მილ. მან. ერევანი—2 მილიონ მანეთს. შუამდგომლობას თანაგრძნობით შეხვდნენ.

◆ სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტმა მოიწვია მოქალაქეთა ყრილობა, რომელზედაც ჩხოლარიამ, კაკულიამ, ჩხეტიამ და ბუკიამ გააცნეს ხალხს ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერატიული რესპუბლიკის გამოცხადება და მისი შინაარსი. თანაც გაავრცელეს დეპეშის ასლი, რომელიც ქუთაისის გუბერნიის კომისარმა გამოგზავნა. ხალხი აღტაცებით შეეგება დამოუკიდებლობას.

სოფლად და ქალაქად

ზუგდიდი.

ყველას მოეხსენება, რომ სამეგრელოში ბოლშევიკების სახელით მოქმედებენ ახალი მთავრობის უკმაყოფილონი ძველი მთავრობის ყოფილი მოხელენი და საუბედუროთ, ამათ აყოლიან ზოგიერთი ჯარისკაცები.

მოუწოდებთ უკანასკნელებს: ნუ აყვებიან პროვოკაციას და დადგენ იდეიურ ნიადაგზე და მხოლოთ ამ შემთხვევაში შეიძლება მათი მუშაობა იქნეს ნაყოფიერი. როდესაც სამშობლოს და რევოლიუციას განსაცდელი მოელის, მაშინ საჭიროა ერთობა. საერთო გასაჭირი მოდგომია ჩვენს მიწა წყალს და შეგნებულმა ჯარისკაცებმა მთელი ძალღონე ამას უნდა მოახმარონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მოღალატეების სახელს დაიმსახურებენ.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

დღეს, საღამოს 6 საათზე, პარტიულ კლუბში მოხდება პარტიულ რაზმის კრება. რაზმელ ამხანაგებს ვსთხოვთ უეჭველად და დროიანად გამოცხადდნენ.

—

პარასკევს 10 მაისს ნაძალადევში, ეკლესიის ეზოში დანიშნულია პარტიულ წევრთა კრება. მოხსენებას დღევანდელ მდგომარეობის შესახებ წაიკითხავს ტფ. საგუბ. კომიტეტის ერთი წევრთაგანი. დასწრება ყველა წევრებისათვის სავალდებულოა.

—

კვირას, 12 მაისს, დილის 11 საათზე, კუკიაში, დანიშნულია პარტიულ ამხანაგთა კრება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი:—„დღევანდელი მდგომარეობა და ჩვენი მომავალი“. კრება დანიშნულია სკოლის შენობაში, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 29.

—

დღეს, 9 მაისს, დანიშნულია ტფილისის საგუბერნიო კომიტეტის კრება ფრიად მნიშვნელოვან საკითხთა გადასაწყვეტად. კრების დასაწყისი საღამოს 6 საათზე, პარტიულ კლუბში.

—

დღესვე, 9 მაისს, დანიშნულია ტფ. კომიტეტის კრება. ამხანაგებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ. დასაწყისი საღამოს 6 საათზე, პარტიულ კლუბში.

—

შაბათს, 11 მაისს, დანიშნულია მუშათა საბჭოს გამგეობის კრება. დასაწყისი საღამოს 6 საათზე, პარტიულ კლუბში.

ას ჩვიდმეტი აღდგომის შემდეგ

ას ჩვიდმეტ ცარიზმით გაჟღენთილ მძიმე წლებთა სვლაში. ას ჩვიდმეტი საზეიმო დღესასწაულის სხივოსნობას მოკლებული აღდგომის დღე გაუთენდა ქართველ ერს მშობლიურ ფირუზოვან ცის ქვეშ.

ერის ნავთსაყუდელი,—მშობელი მიწა წყლის საზღვრებში სრული თავისუფლებაა, მის პოლიტიკურს, ეკონომიურსა და სოციალურ განვითარების შესაძლებლობას ფართო გზას რომ უხსნის უმწვერვალეს წერტილამდი მისაღწევად. და, ამ მძლავრ ფაქტორს მოკლებულმა ქართველმა ერმა ას ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ას ჩვიდმეტჯერ იდღესასწაულა აღდგომა ქრისტესი იდუმალის ზრახვებითა და მძლე მომავლის სხივმფინარე იმედით აღტყინებულმა.

„ერს არ უყვარს დაცინვა. ერი, როგორც გენიოსი, როგორც სიყვარული, როგორც ტყე, როგორც ზღვა,—გულჩახვეული და წარბ-შეჭმუხვნილიაო“—ამბობს ჰეინე. ეს ყოველი ერის თანდაყოლილი თვისებაა. და ქართველი ერის ხანგრძლივად წარბშეჭმუხვნილმა და გულ ჩახვეულმა ყოფნამ, მისმა იდუმალმა ზრახვებმა, სურვილებმა და გულჩათხრობილმა, ფარულმა ყივილმა ას ჩვიდმეტი აღდგომის შემდეგ განმათავისუფლებელ რევოლიუციის პროცესის სინამდვილეში ჰპოვა სანატრელი გამოძახილი.

დღეს ამიერკავკასია და საქართველო დღესასწაულობს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას,—ამ ერთა ნავთსაყუდელის ოდესღაც ხელიდან გასხლტილი საჭის, ხელმეორეთ ხელში ჩაგდებას.

დღეს ჩვენი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მტერნი,—კადეტებიდან დაწყებული მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერებამდე შეხმატკბილებულად ჩვენს წინააღმდეგ მოსთქვამს, ჰკლოვობს, გოდებს. უფერულია მათთვის დღევანდელი აღდგომის დღესასწაული...

მიუხედავად გარეშე და შინაურ მტერთა მძვინვარებისა. მიუხედავად ათასნაირი უბედურებისა, რომელიც თავს დაატეხა ას ჩვიდმეტი წლის მონობამ ჩვენს ხალხს ერთის მხრით, ხოლო ამ უმაგალითო მსოფლიო ომმა მეორეს მხრით, მიუხედავად სამშობლოს საზღვრების დასაცავად ახალ-ახალ დაღვრილ ქართველ მამულიშვილთა უმანკო სისხლისა, რომელიც ჯერ არც კი შეშრობია და წითლად ღებავს ჩვენს მიწა-წყალს,—მიუხედავად ყველა ამისა, დღევანდელი აღდგომის წამები სულ სხვანაირი სახით, თავისუფალი ცხოვრების გარიჟრაჟის ელფერით არის მოსილი. ამიტომ დღეს მეტის რწმენით გათამამებულ-გამხნევებული შესძახებს ქართველი თავის თანამემამულეს; „ქრისტე აღსდგა!“—და უკანასკნელიც უფრო მეტის, ვიდრე ოდესმე,—ტანჯული ერის სრული გამარჯვების იმედით შეპყრობილი შეჰყვირებს: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად!“

ცუღუ თოფურიძე.

ჩვენი მდგომარეობა

განცვიფრებას იწვევს ჩვენი მდგომარეობა დამოუკიდებლობის სამოსელში გახვეული. ვინ არ გაამწარა მან, ვის არ გამოაბა ენა და რა სახით არ გამოიხატა იგი უკმაყოფილება! ამ დალუპულ ომს თუ საფუძვლად ერთა თვითგამორკვევა ედვა, რაღამ ააყენა და ეს ხალხი ჩვენ საწინააღმდეგოდ? თუ რომელიმე ერს ის თავის წყლულის დასამებლად ეცილებოდა, ჩვენ რა გამონაკლისი შევიქენით ამ ერებ შორის? რათ ეცათ ელდათ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნილება? ნუ თუ ჩვენ საკმაოდ არ ვსდუმდით რომ ჩვენ მოთმინებას იგი დაემსახურებინა? მაგრამ საქმეც ის არის, ვსდუმდით და ისე მაგრად ვსდუმდით რომ ჩვენი ენა ყველას დაავიწყდა და როდესაც გაუბედავად ამოვიდულღულეთ, გაოცება გამოიწვია. სამწუხაროდ ცხოვრების სინამდვილეც მას გვეუბნება—მონა-მორჩილთ ადვილად ვერ ელევიან თავიანთ დამმონავებელნი და ჩვენმა დაუმორჩილებელმა მონობამაც ეს ნაყოფი გამოიღო. ხანგრძლივმა მონობამ დაგვიკარგა რაინდული სახე და დღეს ვანდეული ლაჩარი ქართველი საგმირო საქმეს ვეღარ სჩადის. მისმა გამოფიტულმა სულმა სამარცხვინოთ მიუგდო მტერს სამშობლო და ამის შემდეგ ჩვენ გვსურს, მან დამოუკიდებლობა დაიცვას მაგრამ მაინც უნდა დაიცვას—უკანასკნელი ძალ-ღონე უნდა მოიკრიბოს გავერანებულ არსებას უნდა ჩაბეროს ცხოველმყოფელი სული, უნდა სძლიოს გამაბოროტებელ ძალას და უსირცხვილოთ აკჟინებულ ჩვენ მოწინააღმდეგეთ შესაფერისი პასუხი გასცეს. დამოუკიდებლობას იმ სახით, რომლითაც ის დღეს მოგვევლინა—დემოკრატიულ ფედერატიულ რესპუბლიკის, ჩვენი ერის საუკეთესო ნაწილმა თავისი სიცოცხლე შეალია, ბევრი უკვე ისე ჩავიდა საფლავში, ვერ მოესწრო.

დღეს, როდესაც იგი ყველა მომქმედ ძალების მიერ დადასტურებულია, თუ ჩვენ ერს არსებობისა და შერცხვენილი სახელის აღდგენის სურვილი არ დაჰკარგვია, უნდა უსათუოდ დაიცვას იგი, უნდა... და ამ უნდას შესრულებას რომ გავითვალისწინებთ და თვალ წინ გვეშლება საზარელი სურათი, ჯარი რომ ბრძოლის ველიდან გამორბოდა, სასოწარკვეთილება გვიპყრობს—ვაი თუ ვერ შევსძლოთ, ვერ დავაღწიოთ თავი უპასუხისმგებლო მდგომარეობას და ტანჯვით მოპოვებული თავისუფლება ხელიდან გაუშვათ. უნდა, უნდა... მაგრამ...

ქართველო ერო, გაქვს თუ არა წარმოდგენილი ის მდგომარეობა რაც მის დაკარგვით მოგელის? არა და არა ზანტათ იფშვნეტ თვალებს, ზმორებით იღებ იარაღს ხელში, და ისე მიიზლაზნები მის დასაცავათ. დაიცავს თავისუფლებას მხოლოდ ის, ვისაც ამოძრავებს საღი გონება და მაღალი უდრეკი სული, ის, ვინც ვერ ურიგდება მონობის უღელს, ვისაც სურს ადამიანი გახდეს. გაინთავისუფლე თავი იმ უბედურ გარემოებით დაკისრებულ აზრებიდან, ვითომ სამშობლო არა გაქვს, ვითომ შენ დამოუკიდებლათ ცხოვრება არ შეგიძლიან, ვითომ დიდი რუსეთი უნდა გპატრონობდეს და პირდაღებულს პირში ლუკმას გაწვდიდეს—ეს ყოველივე სიცრუეა. ის გაბათილდა ისე, როგორც ბევრი რამ ძალით მოხვეულ თავს სამარცხვინო მოვალეობანი. აღარ არის დიდი რუსეთი, არ ძალუძს მას არა თუ შენი, თავისი პატრონობაც კი, თუ შენ არ გაახილე თვალი, არ აამაღლე გონება არავინ არაფერს არ მოგცემს, აღიკვეთები დედა-მიწის ზურგიდან თითქო არც ყოფილიყავ და გმირების საქართველო ნაცარქექია ყმებათ იქცევა. ნუ მოვყვებით სამარცხვინო ფიქრობას მე თუ შენ—ყველამ ერთნაირად გავითვალისწინოთ შექმნილი მომენტის მნიშვნელობა, მისი უკიდურესობანი—ან დაღუპვა ან აღსდგომა და ამ მიზნით ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის საძირკველი ერთა კავშირი ყოველი საშვალებით გავამაგროთ. მაგრამ ვაი რომ აქაც ეჭვი თავს არ გვანებებს და ეს ერთა კავშირი ყოველ წამს დაშლის სახით გვევლინება. განა ასეთ პირობებში იფიქრობდით ჩვენი წამებული იდეის განხორციელებას, როდესაც მის არსებობას დაბადებისთანავე ყოველის მხრიდან ემუქრებიან! ნუ თუ მისი მწარე ისტორია რამოდენიმე დღით უნდა დამთავრდეს? ნუ თუ ჩვენი მოკავშირე ერთა მოსაზრება მას არ დაიცავს და ანგარიშმიუცემლად ერთმანეთს ყელს გამოჰჭრიან? მართალია ისე მოიშხამა ატმოსფერო, რომ ნამდვილ გზას კაცი ვეღარ ხედავს, მისი მოქმედება გონებას არ ექვემდებარება, მაგრამ მოსალოდნელია გამწარებული ხალხი გონს მოვიდეს და თუ შეგნებით არა ინსტიქტიურათ ალაგმავს ყველას, ვინც მის ნორჩ თავისუფლების წაბრჩობას მოინდომებს და აი აქ არს საჭირო ერთა ხელმძღვანელების ტაქტი, რომ ხალხი ამ გამწარებამდის არ მიიყვანოს, ამ განკითხვის დღეს აიცილოს.

თ. ჯაფ—ძისა.

მოსამსახურეთა კავშირი

როგორც მკითხველს მოეხსენება, ამ დღეებში საძირკველი ჩაეყარა სახელმწიფო და საზოგადო ყველა დაწესებულებაში მოსამსახურეთა კავშირს; ამ კავშირს, უეჭველია, როგორც ქართველი საზოგადოება, ისე ყველა მოხელე სიამოვნებით შეხვდება: მთელ ამიერკავკასიაში ქართველ მოხელეთა რიცხვი კარგა მოზრდილია და მათი შეკავშირება, ზნეობრივ და კულტურულ მხრივ პირადად მათ და აგრეთვე სამშობლოს საგრძნობელ სარგებლობას მოიტანს: ვინ არ იცის რა საბრალო და უნუგეშო პირობებში იმყოფებოდნენ იგინი ძველი რეჟიმის დროს; მათზედ დაბეჩავებული ელემენტი არც კი მოიპოვებოდა მთელ რუსეთის სახელმწიფოში; „ჩინოვნიკი“ ყურმოჭრილი ყმა იყო თავისი უფროსისა! მას ხმის ამოღებაც კი ვერ მოეხერხებინა უფროსის წინაშე; მრავალნი იყვნენ მათში ნამდვილი გოგოლის ტიპები; გარდა იმისა, რომ ყველას ებრალებოდა იგინი, როგორც დამონავებული ელემენტი, საზოგადოება ზიზღითაც კი უყურებდა მათ; საზოგადოების აზრით, ეს მოხელენი წარმოადგენდნენ პატარა ვინტებს იმ მანქანისა, რომელიც სახელმწიფო მექანიზმს ამოძრავებდა და ეს ერთ მხრივ არ იყო სიმართლეს მოკლებული, რადგანაც ამ გვარი ვინტები სახელმწიფო მექანიზმისა კარგა საგრძნობელ რიცხვს წარმოადგენდა და უიმათოთ მექანიზმის მოქმედება ყოვლად შეუძლებელი იყო. რა დანიშნულება ჰქონდა იმ მექანიზმს ძველი ბიუროკრატიზმის დროს, ისიც კარგად მოეხსენება ყველას.

დღეს, როდესაც ჩვენი სამშობლო თავისუფალ რესპუბლიკად არის გამოცხადებული, მათ ფართო ასპარეზი ეძლევათ თვით შეგნებისა და კულტურულ განვითარებისა როგორც თავისუფალ მოქალაქეთა თავისუფალ რესპუბლიკისა; მათ ამ მისწრაფებებს, რასაკვირველია, ვერაფერი დააბრკოლებს და თუ ენერგია და უნარი შესწევთ. ისინი არამც თუ გამოვლენ იმ საცოდავ და ერთგვარ საზიზღარ მდგომარეობიდან, რომელშიაც რუსეთის ბატონობის დროს იმყოფებოდნენ და ჯერ კიდევ იმყოფებიან, არამედ გარდაიქცევიან სამშობლოს სასარგებლო ელემენტად. იგინი, რასაკვირველია, დარჩებიან იგივე სახელმწიფოს მექანიზმის ვინტებად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს მექანიზმი აწარმოებს თავისუფალ სამშობლოს საქმეებს და არა ძველი ბიუროკრატიზმის დახავსებულ და ყოვლად უსარგებლო საქმეებს. ჩვენ ახალ ცხოვრებას ვიწყებთ და, მაშასადამე, რაც უნდა პატარა და უმნიშვნელო იყოს ჩვენი რესპუბლიკის მექანიზმის ვინტი, მას, თუ იგი თავისუფლების და სამშობლოს სიყვარულით არის გამსჭვალული, რამდენიმედ სარგებლობის მოტანა შეუძლიან თავის სფეროში. ამას მოწმობენ ევროპის კულტურულ სახელმწიფოების ამგვარი კავშირები, რომლებიც თვალსაჩინო ორგანოებს წარმოადგენენ სახელმწიფოში.

დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ქართველი მოხელე, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებაში მოსამსახურე კარგად გაითვალისწინებს მნიშვნელობას ახლად დაარსებულ კავშირისას და დაუყოვნებლივ ჩაეწერება მის წევრად.

ვლადიმერ რატიშვილი

საეჯარი სოფლის მშრომელ გლეხებთან

ამხანაგებო, მშრომელო მიწის მუშაკნო, გლეხებო! აგვისრულდა დიდი ხნის ნატვრა-სურვილი, დაიმსხვრა მონობის ბორკილი რუსეთის თვითმპყრობელ მტარვალ მეფისა, რომელიც სისხლს სწოვდა თავის ქვეშევრდომ რუსის გლეხობას და განსაკუთრებით კი მომეტებულად მიწასთან ასწორებდა არა-რუსთ, მაჯლაჯუნასავით გვაწვა ჩვენც, ქართველებს, და ურცხვათ, უსინიდისოდ, შეუბრალებლად ფეხქვეშ სთელავდა ჩვენს ადამიანურს ღირსებას, გვიკრძალავდა მშობლიურ ენას: სკოლაში, სასამართლოში, ეკლესიაში და ჩვენს ზნე-ჩვეულებას, ადათ-წესებს მასხარით, სასაცილოდ იგდებდა.

დიდხანს არ შერჩა ბოროტ მეფეს ქვეშევრდომთა ტანჯვა-ვაება, ასტყდა საბედისწერო მსოფლიო ომი და შიგ ჩაება რუსის მტარვალი მეფეც, რომელსაც სურდა ახალი ადგილების დაპყრობა, ახალი მონების შეძენა. მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს და მის გაღვიძებულ მადასაც საზღვარი დაედო, აღარ მოუთმინა ხალხმა ამდენი თავგასულობა და იგი თავის სამეფო ტახტიდან ძირს დასცა თავის გათახსირებულ ამყოლ-დამყოლ მინისტრებით. კარგათ გახსოვთ რა აღფრთოვანება-სიხარული გამოიწვია ყველა დაჩაგრულთა გულში ამ ერთი წლის წინ რუსეთის დიადმა რევოლიუციამ და უფრო კი მიწის მშრომელი გლეხობა შეხვდა დიდის ამბით ამ სანატრელ დღეს, რადგან მომეტებულად გლეხობა ეჩაგრებოდა ყოველის მხრით უმიწობით, უუფლებობით და მთელი სახელმწიფო გადასახადები გლეხებს აწვა მძიმე ტვირთად კისერზე. მთელი მუქთა ხორები მინისტრებიდან დაწყებულ უკანასკნელ მამასახლისს ჩათვლამდის გლეხის სისხლით და ოფლით მონაგარს შეექცეოდნენ.

ამ ერთი წლის განმავლობაში [illegible] რამ შეიძლებოდა გაკეთებულიყო, გადაცემოდა მიწა მიწის მუშებს და დამყარებულიყო სამართლიანობა მთელ რუსეთში, მაგრამ საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. ყველას უნდოდა რევოლიუციით მონაპოვარი თავისუფლება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. მდიდარმა, გაბატონებულმა, ბურჟუაზიამ, თავის მეთაურები წამოასკუპა მინისტრებად, რომელნიც ცარიელის სიტყვით ყველაფერს ჰპირდებოდნენ ხალხს და ნამდვილად კი არაფერს უსრულებდნენ, უნდოდათ ამ დაპირებებით ხანი გასულიყო, ხალხს გული გასცივებოდა რევოლიუციაზე და ნიკოლოზის მაგივრად ახლა მდიდართა პარტიის ებატონა ხალხზე, მაგრამ არც ამათ შერჩათ დიდხანს მინისტრების ადგილი და ბოლშევიკების მეთაურმა ლენინმა ყველანი გადმოყარა და და თავის-თავი გამოაცხადა მთელი რუსეთის მხსნელად. ვინ იცის რას არ ჰპირდებოდა ხალხს: ომის გათავებას, მიწას, თავისუფლებას ყველა დაჩაგრულ ერებს, ერთი სიტყვით ამ ქვეყნიურ სამოთხეს. მაგრამ არც ამან გაუმართლა ხალხს დაპირებანი და თავისუფლებისა და სამოთხის მაგივრად რუსეთში დამყარდა უწესოება, ძალმომრეობა, ძარცვა და შინაური ომი გაჩაღდა, ძმა-ძმას აღარა ზოგავს და კაცის სიცოცხლე გროშად აღარა ფასობს.

თუმცა გერმანიასთან ზავი შეჰკრეს, მაგრამ რუსის ხალხისათვის სამარცხვინო და დამღუპველი, ამიერიდან რუსეთი გერმანის საწველ ფურად გადაიქცა და იქნებ კარგა ხანს თავი ვეღარ აწიოს მაღლა. ლენინის მთავრობამ არც ჩვენ დაგვზოგა და ჩვენდა დაუკითხავად ოსმალეთს გადასცა ყარსის, არტაანის და ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კუთხე ბათომი თავის ოლქით. გვიღალატეს უღვთოდ ბოლშევიკებმა, გაჭირვების დროს მიგვატოვეს მტრის ამარათ და ხელი აიღეს ჩვენთან ერთად მტრის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

ამ შემთხვევაში რა გზას უნდა დავდგომოდით, რით უნდა გვეხსნა ჩვენი თავი და ის თავისუფლებანი, რომელიც მოგვცა რევოლიუციამ? რასაკვირველია იმით, რომ ჩვენ ჩვენის თავისთვის ჩვენვე გვეპატრონა, რადგან რუსეთმა ჩვენზე ხელი აიღო და მტრის სათარეშოდ გახადა ჩვენი სამშობლო. აი ამისათვისაც გადავდგით ის დიდი ნაბიჯი, რომელსაც ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა ეწოდება. დღეიდან ჩვენ ძიძები და გამდელები აღარ გვეყოლება, ჩვენ თავს თვით ჩვენ უნდა უპატრონოთ, ჩვენ უნდა განვაგოთ ჩვენი საქმეები ჩვენს სამშობლო ენაზე, ჩვენვე უნდა ვირჩევდეთ ჩვენს მოსამართლეებს და ჩვენვე უნდა ვაკანონებდეთ კანონებს, რომლის წინაშე ყველა თანასწორი იქნება და სამართლიანობა დამყარდება ყველასათვის.

მაგრამ ჩვენს თავისუფლებას უთვალავი მტერი გამოუჩნდა, ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით ქალაქებში და სოფლებში ტანისამოს გამოცვლილ ძველ ჟანდარმებს, ჯაშუშებს, „გოროდოვებს“, „პრისტავებს“ და ჩვენი სამშობლოს დაუძინებელ მტრებს, რომელნიც ათასგვარ ჭორებს და ღვარძლს სთესენ ჩვენში. ავრცელებენ ხმებს, რომ დავიღუპებით, რადგან რუსეთს ჩამოვშორდით და ჩვენი თავისუფლება გამოვაცხადეთ. ნამდვილად კი რომ ვთქვათ ჩვენი დარდი კი არა აქვთ ამ ბოროტ სულებს, ამათ სურთ მოატყუონ შეუგნებელი ხალხი, შეცდომაში შეიყვანონ და უარი ათქმევინონ თავისუფლებაზე. ამ ბოროტი სულების საქმეა ყველა ის უბედურება, რომელიც ხდება აქა-იქ, თელავის აკლება, ქუთაისისა, გორისა და ამ უკანასკნელად ცხინვალის დარბევა-აწიოკება. იმ დროს, როდესაც ყოველი ჩვენგანი უნდა სცდილობდეს წესიერების დამყარებას და ანგარიშს უნდა უწევდეს ჩვენს მტრებს, ჩვენ ვერ გაგვირჩევია მტერი მოყვრისაგან და ლამის არის დავღუპოთ ყველა ის, რაც სისხლითა და ვაი ვაგლახით მოვიპოვეთ.

ჩვენმა მტრებმა კარგად იციან, რომ თავისუფალი ხალხი ისე აღარავის დაემორჩილება და აღარავის გაბატონებს თავის თავზე როგორც იყო დღემდის. მათთვის უფრო ხელსაყრელი და გემრიელი საწუწნია უფლებას მოკლებული და დამონებული ხალხი და აი ამისათვისაც არის, რომ ბეჯითად და შეუპოვრად სთესენ ათასნაირ ღვარძლს და ჭორს ჩვენი ახალი მთავრობის წინააღმდეგ, ამით მათ სურთ შფოთი და უწესობა დაბადონ ხალხში, უწესოებას და არევ-დარევას შეუწყონ ხელი, უკიდურესობამდის მიიყვანონ

ხალხი და მერე თვითონ გაბატონდნენ ძველებურად და სახრჩობელები გაუმართონ ყველ ჩვენგანს.

ჩვენ თუ შეგნებულად, წინდახედულად არ ვიმოქმედებთ და ხელიხელ ჩაკიდებულნი თავდადებულად არ შევებრძოლებით ყველა იმ ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს, რომელთაც ჩვენი დაღუპვის მეტი არაფერი სურთ, შემდეგ სანანებლად გაგვიხდება საქმე და წყევლა-კრულვით მოგვიგონებს ჩვენი შთამომავალნი, რადგან ჩვენ შევძელით თავისუფლების მოპოვება და უარვყავით იგი ჩვენის შეუგნებლობით.

დღეს-დღეობით შეიძლება ყველა კმაყოფილი არ იყვეს ახალის წესწყობილებისა და რაიმე ნაკლს ხედავდეს, მაგრამ ეს მხედველობაში არ არის მისაღები, რადგან ისე ადვილი საქმე არ არის ახალი სახელმწიფოებრივი წესწყობილების დამყარება, როგორც ს ზოგიერთებს ჰგონია. და თუ რამ უწესოება ხდება ეს ჩვენი ბრალიც არის, თუ ჩვენ თვითონ არ დავეხმარებით მთავრობას წესრიგის განმტკიცებაში და ყველა ბოროტებას ხელს დავაფარებთ მთავრობა მარტო თვითონ ვერაფერს გახდება. მთავრობას ჩვენ თვითონ უნდა გაუმაგროთ ზურგი, რომ განამტკიცოს ყველა ის სიკეთე, რომელიც მოგვცა რევოლიუციამ.

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და კერძოდ საქართველოს თავისუფლება, ეს ისეთი სასიხარულო საქმეა ჩვენთვის, რომ ყოველმა ჩვენგანმა თავი უნდა დასდოს მისთვის. დღემდის ჩვენ მონები ვიყავით, პირუტყვები და აბუჩად აგდებულნი, ჩვენს ენას ძაღლის ენას ეძახდნენ რუსის ჩინოვნიკები. მეტადრე გლეხობა მიწასთან იყო გასწორებული და პირში ბურთსა სჩრიდნენ, ვერსად ხმას ვერ იღებდა, მწუხარება და სიხარული ვერ გამოეთქვა.

აი ამისათვის გლეხობა, მშრომელი ხალხი უფრო უნდა იყვეს დაინტერესებული თავისუფალ სამშობლოთი, ხელი შეუწყოს მის კეთილდღეობას და იცნოს მტერი მოყვრისაგან.

გლეხი პ. ახალკაცი.

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულ „სახალხო საქმის" რედაქციას უმორჩილესად ვთხოვ ადგილი დაუთმოს გაზეთის უახლოეს ნომერში სამს შემდეგ განცხადებას:

1. ქ. შ. წ. კ. გ. ს. გუმბრის განყოფილება ამით აცხადებს და უმორჩილესად სთხოვს განყოფილების წარსული წლის ქვემორე მოხსენებულ წევრებს, რომ საჩქაროდ წარმოუდგინონ გამგეობას საწევრო ფულების ასაკრეფი საკვიტანციო რვეულები, რომლებიც დღევანდლამდის მათთან არის დარჩენილი და ურომლებისოდაც ფერხდება გავლილი წლის ანგარიშის შედგენა მთავარ გამგეობაში წარსადგენად. რვეულები აქვთ წაღებული: მოსე მოსეშვილს №№ 24 და 25, პრაპორშჩიკს ქელბაქიანს № 26, ექიმს გ. ქორქაშვილს № 27, პრაპორშჩიკს ად. ელანიძეს № 28, დ. ზეიკიძეს № 29 და ექიმ ვალერიან ჩხეიძეს № 31. შესაძლებელია რვეულები ჰქონდეს დარიგებული გამგეობის ყოფილ თავმჯდომარის გ. ქორქაშვილისაგან, და ხაზინადარი ნესტორ მამულაიშვილისაგან კიდევ სხვა პირებსაც, რომელთა შესახებ ამ ჟამად გამგეობას ცნობები არა აქვს და, იმედია, ასეთი პირნიც კეთილ ინებებენ და წარმოადგენენ რვეულებს შეკრეფილი ფულით.

2. გავლილ წლის 8 ოქტომბერს ქ. შ. წ. კ. გ. ს. გუმბრის განყოფილების გამგეობამ თავის სხდომაზედ გადასწყვიტა ქართულ უნივერსიტეტის ფონდის გასაძლიერებლად მოეკრიფა ფული ადგილობრივ ქართველ საზოგადოებისა და თანამგრძნობ პირთა შორის და ამ მიზნით ამავე დღესვე, დადგენილებისამებრ, თავის ბეჭდის ქვეშ გამოსცა ექვსი სია, რომლებიც შეკრებილი ფულით გამგეობას უსათუოდ უნდა დაჰბრუნებოდა პირველს ნოემბრამდის. დღევანდლამდის გაცემულ სიებიდან არ დაუბრუნებიათ: № 2 პრაპორშჩიკს მიხეილ შატბერიშვილს და № 6 გამგეობის ყოფილ ხაზინადარს ნესტორ მამულაიშვილს, (რომლებიც ამ ჟამად ტფილისში იმყოფებიან) რის გამოც შეფერხებულია ამ საგნის შესახებ ანგარიშის გაწევა და ფულების ჩაბარება კუთვნილებისა[illegible]. გამგეობა უმორჩილესად სთხოვს [illegible]ნიშნულ პირებს საჩქაროდ წარმოადგინონ სიები და ფული.

3. ქ. შ. წ. კ. გ. ს. გუმბრის განყოფილების გამგეობის ყოფილმა თავმჯდომარემ ექიმმა გიორგი ქორქაშვილმა საქმეების ჩაბარების დროს, სხვათა შორის, გადმოსცა იროდიონ ევდოშვილის სახლობის სასარგებლოდ შეკრეფილი 27 მანეთი უსიოთ, რომელიც მისივე განცხადებით, იყო დარჩენილი კავკასიის ფრონტზედ მყოფ ერთ ქართველ პრაპორშჩიკის ხელში. (რომლის გვარი არ მახსოვს) რომელიც განაგრძობდა შემოწირულების შეკრებას. რადგანაც დღევანდლამდის ამ სიამ ჩემამდის ველარ მოაღწია, გაახლებთ რა ამასთან ერთად ამ 27 მან. გთხოვთ ეს ფული მაინც გადასცეთ დანიშნულებისამებრ.

გამგეობის თავმჯდომარე არჩ. ციხისთავიშვილი.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ეს ჩემი წერილი მოათავსოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში.

„სახალხო საქმის" თოთხმეტ აპრილის მე-221 ნომერში დაბეჭდილი იყო ვინმე „მგზავრის" წერილი „ბათომის ამბები". ამ წერილში ავტორი ეხება წითელი ჯვრის საზოგადოებას და სწერს: „თუ წინეთ წითელი ჯვარი არაფერს არ აკეთებდა, ეხლა საოცარი ენერგიით მოქმედობს. საიდანღაც ოცამდე ავტომობილი აღმოაჩნდა, ცხენებიც გაუჩნდათ და მუშაობენ დილით საღამომდისინ". ამნაირი ცნობების გამო, მე ვალათ ვრაცხ ჩემ თავს ვაუწყო წერილის ავტორს, რომ წითელი ჯვარი იყო ერთად ერთი დაწესებულება ბათომში, რომელიც თითქმის ომის დაწყებიდან ოსმალოებთან ემსახურებოდა ავადმყოფ და დაჭრილ ჯარის-კაცთ.

ათას ცხრაას თხუთმეტ წელში, ბათომის რაიონში წითელმა ჯვარმა მოაწყო· სამი მოწინავე რაზმი და ორი მფრინავი რაზმი; დაჭრილთ და სნეულ ჯარისკაცთა ევაკუაცია იმ დროს მხოლოდ წითელი ჯვრის შეოხებით ხდებოდა; შარშან, როდესაც ტრაპიზონის რაიონში მყოფ ჯარში გავრცელდა ცინგის ეპიდემია, წითელმა ჯვარმა ორი-სამი დღის განმავლობაში, ბათომის კარანტინის შენობაში და ბათომ-ტრაპიზონის რკინის გზის ბარაკებში, მოაწყო ათას ორასი საწოლიანი საავადმყოფო; შემდეგ, ბათომშივე წითელმა ჯვარმა გახსნა საავადმყოფო ათას ხუთასი კაცისთვის; ეს საავადმყოფო, შემდეგში გადაეცა ქალაქთა კავშირს. ყველა დაავადებულ ცინგით, რომლებიც იგზავნებოდნენ ტრაპიზონიდან, იღებდნენ და უვლიდნენ სწორედ ეს, ზემოთ დასახელებული დაწესებულებანი, რომელნიც, ვიმეორებ, დაარსა წითელი ჯვრის საზოგადოებამ და ბოლო ხანებში როდესაც ოსმალოები მოადგნენ ბათომს, წითელი ჯვრის საზოგ. ერთად ერთი იყო, რომელმაც თავს იდო მთელი ზრუნვა დაჭრილ და სნეულ ჯარისკაცებზე.

განა წითელმა ჯვარმა არ შექმნა მფრინავი რაზმი, რომელმაც აჭარის წყალზე გაშალა თავის მოქმედება და გარდა წმინდა საექიმო დახმარებისა ეწეოდა სურსათის რაქმეს?

შეეკითხეთ ქუთაისის ოფიცრეთა რაზმს, აგრედვე ბათომში მყოფ ქუთაისის და ფოთის რაზმებს და ისინი დაამოწმებენ იმ დიდ ღვაწლს, რომელიც მიუძღვის წითელი ჯვრის საზოგადოებას ჩვენი ჯარისადმი. მე იმედი მაქვს, რომ ბათომის ციხის ყოფილი კომენდანტი აგრედვე ბათომის თავის დაცვის სხვა და სხვა სარევოლიუციო ორგანიზაციები თავისი დამოწმებით დაამტკიცებენ ჩემი სიტყვების სიმართლეს.

დიდად საწყენი და გულის სატკენია, როდესაც ესეთი ცილისწამება გესმის იმ საზოგადოების შესახებ, რომელიც ასე ერთგულად, ასე კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას.

არა ერთხელ მიუღია ამ საზოგადოებას თავის დაუღალავ მუშაობისთვის ქება და მადლობა ბათომის რაიონში მყოფ ჯარის ნაწილების კომანდირებისგან.

რაიცა შეეხება იმ ცნობებს, რომლებსაც წერილის ავტორი იძლევა წითელი ჯვრის რწმუნებულების, დოილის და ზავაროვის მოქმედების შესახებ, ჩვენ პირველ შეძლებისთანავე ვეცდებით დაწვრილებით გამოვიძიოთ და თუ დამტკიცდა მათი სიმართლე, მიღებული იქნება ყოველი შესაფერი ზომები.

ავტომობილების და ცხენების შესახებ კი შემიძლიან ვსთქვა, რომ წითელ ჯვარს ბათომში აქვს არა ოციოდე ავტომობილი, არამედ მხოლოდ რვა, იმათში ორი საბარგოა. ცხენებიც და ავტომობილებიც მოტანილია ტრაპიზონიდან და მითი სარგებლობდნენ, როგორც წითელი ჯვარი, ისე ბათომის ჯარის ნაწილებიც, საჭიროების მიხედვით.

ვთხოვთ ყველა იმ გაზეთებს, რომლებმაც გადაბეჭდეს „მგზავრის" წერილი, მოათავსონ ეს ჩემი წერილი თავის მორიგ ნომერში.

წითელი ჯვრის რწმუნებული ივ. ივ. ქუთათელაძე

გამომცემელი
[illegible]
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

მე გიგო ალექსის ძე ტატანაშვილი, გამძარცვა ორმა მთვრალმა კაცმა პარასკევს, ე. ი. 4 მაისს გაზეთების დარიგების დროს; წაიღეს სამი ცალი ათ შაურიანები, ერთი ცალიც ძველი ვერცხლის ფული და ვოზროჟდენიისაგან მიცემული [illegible] მისამართი. მასთან ჩემი საბუთები სალდათობიდან განთავისუფლების. ვინც იპოვოს, ვთხოვ საბუთი დამიბრუნოს მე-2 სამილიციო უბანში გრიგოლ ალექსის ძე ტატანაშვილის გადასაცემად. მისამართი უფიანის ქ. 10. 457

ექიმი
ნ. ა. ფოფხაძე
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამ. გრეფის ქუჩა № 8. 459

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 8.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

ექიმი
ი. ი. ზერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 450

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. [illegible] ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან [illegible] სნეულებიან ავადმყოფთ, [illegible] დღე, კვირის გარდა [illegible] საათამდე. გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09 1032

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
[illegible] ავადმყოფთა, იღებს 4—6 ს. [illegible] მისამართი: [illegible] მეორე სართული. 1009

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
ბ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფთ [illegible] 5—6 ს.-დე კვირა დღეს [illegible] მისამართი: [illegible] მთავარის ქ. № 61 [illegible] შენობის პირდაპირ, სახლი [illegible] ტელეფ. 5—11. 1030

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, [illegible] 1002

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მახკოვის ქ. № 11. 426

ქ. [illegible].
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მახაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა. სლეპცოვის და მიჩნერის ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
გ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, [illegible] 1029

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5^{1}/_{2}$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეტიანის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით. მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე. ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8 მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმ ნაგახარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ს. ა. ნაგახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ. ავადმ.)
გ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. გ. აგახაროვი: $9^{1}/_{2}$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმ.
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^{1}/_{2}$ ს.
მ. ვ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საბერიო ავადმ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალურ ავადმყ. და ქირურგიული.
ერთჯერ-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი ა. ნაგახარდიანი. 1010

ქართველთა სამხედრო კავშირის ცენტრალური კომიტეტი

აცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ კომიტეტის ჩვეულებრივი სხდომები იმართება ორშაბათს და ხუთშაბათს საღამოს 7 საათიდან ქ. ს. კ. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

ახალი წიგნი
გრიგოლ ვეშაპელი
საქართველო და რუსეთი
(მეფე ერეკლეს პოლიტიკა)
საქართველოს ისტორიული საზღვრების რუკით.
ფასი 1 მანეთი და 50 კაპ.
წიგნი იყიდება: „წერა-კითხვის" და კიკნაძის „ნოვაია რეჩის" წიგნის მაღაზიაში.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლის
ქართველთა სამხედრო კავშირის მთავარ კომიტეტის გაზეთ
„ჯარის კაც"-ზე
გაზეთი წლის დამლევამდე ეღირება 16 მან. ცალკე ნომერი 10 კაპ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: г. Тифлисъ, редакція „Джарисъ Каци". Почтовый ящикъ № 190.
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე № 5 და ღია არის დილის 10—2 ს. და საღამოს 7—8 ს.
რედაქტორი სალიტერატურო სექცია.

„სახალხო საქმე"-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია" მხოლოდ მეორე ტომ.	3 მ.
ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია" წ. I	4 „
[illegible] წ. I	3 „
ქართველი მწერლები.	2 „
[illegible]	2 „
შიუკაშვილი—„მეგობრობა".	— 60
ჯანაშვილი—„თამარ მეფე".	1 „ 20
ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო".	— 40 „
ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი".	— 50 „

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე".

სტამბა
„სახალხო საქმე"
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14.

ქართული ტანვარჯიშო საზოგადოება
„ამირანი"
დაარსებული ქართ. სამხედ. კავშირის მთავარ კომიტეტის მიერ, იწვევს ყველა ქართველს, ორივე სქესის, საგიმნასტიკო სამხედრო ვარჯიშობისთვის, რადგანაც
ერის ფიზიკურად მაგარი სხეული, ძლიერია სულიერადაც.

მოწაფეები მიიღებიან 15 წლიდან. გადასახადი 50 კაპ. თვეში. სწავლა სწარმოებს კვირაში ოთხი დღე. სამშაბათობით და პარასკევობით ვაჟთათვის, ოთხშაბათობით და კვირაობით ქალთათვის. კვირაობით სწავლა იწყება დილის $11^{1}/_{2}$ ს. 1-მდის, დანარჩენ დღეებში საღამოს $6^{1}/_{2}$ ს. 8 მდის. ბინა: ტფილისი სასახლის ქუჩა, ქართული კლუბის შენობა.

ქართ. ს. კ. მ. კომიტეტი.

სტამბა „სახალხო საქმე". ბარონის ქუჩა № 14